№ 48 მარტი 2, კვირა. 1886 მარტი 2, კვირა № 48

გაზეთი ღირს:

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველი განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

კნეინა ანასტასია ევსეის ასული და თავადნი ბიძინა და აბელ ოთარის ძენი ჩოლაყაშვილები გულ-მტკივნეულად აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობებთა გარდაცვალებასა ქმრისას პირველისას და ძმისას უკანასკნელთა **თავადის დავით ოთარის ძის ჩოლაყაშვილისა**, სთხოვენ მათ მობძანდნენ კუკიაში: კოჩუბეის ქუჩაზედ, სახ. № 5, მისის გვამის გამოსვენებაზედ ეკლესიასა შინა წმ. ნიკოლოოზისასა ორშაბათს, 3 მარტსა 9½ საათზედ

გაჭირების გამო

ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, სემინარიის პირ-და-პირ ისყიდება

საბინინის წიგნი

„საქართველოს სამოთხე"

რვა მანეთად

ორი კვირის განმავლობაში.

(3—1)

ტფილისი, 1 მარტს.

ვინც ჩვენებურს სოფლებს და მათს ეკონომიურს განწყობილებას და ვითარებას დაჰკვირვებია, ერთს დიდს ნაკლს შეჰნიშნავდა. ეს დიდი ნაკლი უფრო ძლიერ თავს იჩენს იმისთანა სოფლებში, საცა მომეტებული ნაწილი მკვიდრთა სახელმწიფო გლეხ-კაცობაა, ანუ, როგორც უწინ იტყოდნენ, სახასო. ამისთანა სოფლებში მიწათ-მფლობელობას ორ-გვარი თვისება შეჰრჩენია დროთა განმავალობაში და რამოდენადაც დიდი ხანი გასულა, იმოდენად ეს ორ-გვარი თვისება მიწების მფლობელობისა უფრო განთვითვეულებულა და განმტკიცებულა გლეხკაცობის თვალში. ეხლანდელი სოფელი რომ გაშინჯოთ მიწათ-მფლობელობის თვალით, ჰნახავთ, რომ თითქმის ყოველი სახასო სოფელი მიწათა მფლობელობის კვალობაზედ ორს დიდს ნაწილს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკეთესნი, უფრო შემუშავებულნი და უფრო მომცემნი მკვიდრთა გლეხთაგან სათვითაოდ დაჩემებულნი არიან, კერძოდ განსაკუთრებულნი და საშვილი-შვილოდ დაჭერილნი. ამ გვარს მიწებს ზოგან ნაფუძრებს ეძახიან და უფრო ხშირად კი საბლის მამულებს. ამ გვარი მიწები ჩვენთა გლეხ-კაცთა თვალში არა ფრით და არა ნიშნებით არ განირჩევიან კერძო საკუთრებისაგან, თუმცა კი, გლეხს რომ ჰკითხოთ, იგი მიწები სახასონი და სახელმწიფონი არიან. ამისთანა მიწები მემკვიდრეობით გადადის ერთიდამ მეორეზედ, გლეხი, პატრონი მიწებისა, აგირავებს, ჰყიდის ერთმანეთში თავისუფლად და დაუბრკოლებრივ. ჩვენს გლეხკაცობას არამც თუ არ მოუთავრებია გულში, არამედ ფიქრადაც თავის დღეში არ მოსდის, რომ ამ გვარ მიწის აღებ-მიცემობაში, გადასვლა-გადმოსვლაში ვინმე წინ დაუდგება და ხელს შეუშლის. ასე მტკიცედა აქვს გულს და გონებაში გამჯდარი ამა მიწების საშვილი-შვილოდ კუთვნილება, რომ ვერას გზით წინაამღდეგს ვერ დააჯერებთ. საიდამ წარმოსდგა სასოფლო მამულებში ეს ამ გვარი მიწათ-მფლობელობა სრულის კერძო საკუთრების ნიშნებითა, როგორ გამოცალკევდა იმ საერთო მფლობელობიდამ, რომელიც უეჭველად ცნობილია მეცნიერებისაგან როგორც პირველ-ყოფილი კაცთა საზოგადოების ეკონომიური ქვა-კუთხედი, — ესე ყოველი შორი და რთული ამბავია და ამ ჟამად ამას ჩვენ ვერ გამოვუდგებით.

ხოლო ამას კი გულ-დაჯერებით ვიტყვით, რომ ეს საერთო მფლობელობა ჩვენთვისაც უცხო არა ყოფილა, როგორც არ ყოფილა უცხო მთელის ქვეყნის გაცობრიობისათვის. ამისი ნიშნები დღესაც თვალთ საჩინოდ შეჰრჩენია ჩვენს სოფელს და მეორე გვარი სოფლის მიწებისა აშკარად გვეუბნებიან. ეს მეორე გვარი მიწები, ზოგან «სასოფლოდ» წოდებულნი, ზოგან «საზოგადოდ», ზოგან «სათემოდ» და ზოგან «სახასოდაც» იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველებზედ ნაკლებია, სოფელს მოშორებული და არავისაგან არ დაჩემებული. აქ ვინც პირველად და ყველაზედ უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია. მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს და ჰხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს საცა კი სხვას დაასწრობს, იქ მოხნას და რამდენიც უნდა, იმოდენა მოხნას. ხშირად, როცა ამ გვარი სათემო მიწები მოუხნავად ჰრჩება და წელიწადი ხელს აძლევს, ამ მიწებს სასოფლოდ დააყორულებენ ხოლმე სათიბად, მთელი სოფელი ინახავს ყორულს და როცა სათიბად მოესწრობა, მაშინ ან სასოფლოდ ჰსთიბვენ და მერე თივას იყოფენ, ან მინამ გასათიბია, გასათიბს ადგილს წილ-წილად დაიყოფენ ერთმანეთში. თუ მიწები სათიბად არ ვარგანან, ზამთრის საძოვრად სასოფლოდ გაჰსცემენ, ბევრჯელ უცხო კაცზედაც, და აღებულს საბალახეს ან სასოფლო საჭიროებას ახმარებენ, ან იყოფენ ერთმანეთში.

რაკი ამ სათემო მიწებში ყველა მკვიდრს სოფლისას ნება აქვს საცა უნდა და რამდენიც უნდა ჰხნას, რა თქმა უნდა, მდიდარი და შემძლებელი გლეხი შეუძლებელსა ჰსჩაგრავს, იმიტომ რომ შეძლებული ყოველთვის შეუძლებელსა დაასწრობს ხოლმე გუთანსაც და ფარცხსაც. გარდა ამისა ვიწროობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსავით გაისაკუთროს, დაიჩემოს. აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულს გლეხს აძლევს უპირატესობას შეუძლებელის წინაშე. იშვიათი ამბავი არ არის, რომ შეძლებულს გლეხს სათემო მამულში უკეთესი და კარგა

ფელეტონი

ჩემი აღსარება

(მეფელეტონეს თავ-გადასავალი)

III

> «Еще одно послѣднее сказанье,—
> «И лѣтопись окончена моя!»
> Пушкинъ

წინა ფელტონებში მე, როგორც შემეძლო და რამდენადაც მომიხერხდებოდა, დავუხატე მკითხველს ძნელი და გასაჭირი მდგომარეობა გაზეთის თანამშრომელისა, ავუხსენი თუ ვისზე და რაზეა დამოკიდებული მისი ყოველ-დღიური და განუწყვეტელი ტანჯვა და გასაჭირი, მოვიხსენიე ორიოდე სიტყვით ეს უკანასკნელნიც, — ერთის სიტყვით, დაახლოვებით უკვე ვსთქვი ის, რის თქმაც საჭიროდ მიმაჩნდა. ამ ნაირად, მეორე ფელეტონის შემდეგ მე რომ დამესო წერტილი და «ბაგეთა ჩემთა ზედა დამედო ბეჭედი დუმილებისა», ჩვენთვის საინტერესო საგანი მაინც განმარტებული იქნებოდა და მე სრულის უფლებით შემეძლო მეთქვა ამ საგანზე, რომ მხოლოდ «კაცმან სულელმან არა ჰსცნას იგი და უგუნურმან არა გულის ხმა-ჰყოს ესე»—მეთქი... ხოლო...

ხოლო სჯობს ისევ ნუ ვაწყენიებთ ნურავის! რადგან ვსთქვით ერთზე, ვსთქვათ მეორეზეც, თუ ვაქეთ ერთი, განვადიდოთ მეორეც და თვითოეულს მივაგოთ საქმისამებრ მისისა. ბ-ნი რედაქტორი და ზედამხედველი უკვე აწერილნი არიან: მათი შრომა და ღვაწლი ჩემი და ჩემთა თანა-მოძმეთა სიცოცხლის გასამწარებლად დაფასებულია წინა წერილებში, თვითონ საქმის, ე. ი. მეგაზეთობის ვითარებაც ახსნილია იქ საკმაოდ, — მაშასადამე ჯერი მიდგა ახლა მკითხველებზე.

— ჰმ! მკითხველებზე! როგორ ადვილი ჰგონია ამას მკითხველების ხელის ხლება? იტყვის წყრომით რომელიმე უცოდვილო ბატონი, რომელსაც, თუმნიანის ინდულგენციის ყიდვის შემდეგ, თავისი თავი შეუხებელათ მიაჩნია.

— არა, ჩემო ბატონო, ადვილი როგორ მგონია, მაგრამ რა ვჰქნა, როდესაც სიმართლე და პირუთვნელობა მოითხოვს ჩემგან ამ გვარს კადნიერებას?! ამის გარდა მე ვისმეს ვჰკიცხავ და ბრალს ვჰდებ თუ? მე მხოლოდ გულ-წრფელად გეუბნებით ჩემს აღსარებას და რომ არა ვსთქვა ის, რაც ვიცი, მაგალითად, თქვენზე, მკითხველებზე, და რაც გადამხდია თავს მკითხველთაგან—ეს ხომ უფრო დიდი დანაშაულობა იქნება. მაშასადამე, სჯობს ისევ ორ დანაშაულობიდამ უმცროსი ავირჩიოთ და... როგორც მჭევრ-მეტყველობს ოქროპირი «თეატრისა», დავჰხატოთ ჰაერში თვითოეული პირი, რომელნიც ბურუსით და ჯანყით არიან გარემოცულნი».

⁂

ჩვენი საზოგადოება განიყოფება სამ გუნდად: პირველ გუნდს შეადგენს—ნამდვილი, ჭეშმარიტი მკითხველები, რომელთაც ფულიც თავის დროზე შემოაქვთ და არც ფილოსოფოსობენ უთავ-ბოლოდ. ამათ თუ აქვსთ რამე დამოკიდებულება ჩვენთან, მხოლოდ მეგობრული, თუ გვიძლევიან რამე რჩევას — მხოლოდ გამოსადეგს, თუ გვისაყვედურებენ რასმეს—სამართლიანად. ერთის სიტყვით, ცერებზე ეს მკითხველები არასოდეს არა დგებიან და გვეჩვენებიან ისე, როგორც დაჰბადა ისინი ღმერთმა. ამ გვარი დასი მკითხველებისა, რომელიც ჩვენდა სასიხარულოდ შეადგენს უმრავლესობას, არა თუ არ სწამლავს მეგაზეთეს სიცოცხლეს,— პირ-იქით, ადებს ნუგეშის მალამოს მის ყოველ-დღიურ წყლულს. ისინი მანანა არიან ცისა, რომელიც მუდამ ესიზმრება რედაქტორს, კეთილნი სულნი, რომელნიც ცისარტყელას ფერად-ლაჟვარდში შემოსილნი ეხატებიან გაზეთის თანამშრომელის წარმოდგინებას... დღე-გრძელ იყვნენ ისინი ამიერ და უკუნისამდე.

«მეორე არის ცოტაი,
ნაწილი მკითხველებისა და სხვა...

ჰმ! მაგრამ ამათზედაც ვსთქვათ რამე თუ? ამათ ხომ თავისი არაფერი არა აქვთ. ბრძნობენ სხვისის ბრძნობით, არარაობენ სხვისის არარაობით. ესენი მართლა ღინღლი არიან უბრალო, რომელიც ხან-და-ხან კაცსაც მიეკვრება ტანისამოსზე და მაშასადამე, დადის კაცთან და ვითომ კაცობს, ხოლო ხან-და-ხან კი ფეხის ნატერფალზედაც ამოდება ხოლმე... მათი კანონი ფათერაკია. ფათერაკით იბადებიან ისინი ქვეყანაზე, ფათერაკით კვდებიან, ფათერაკით იკვეთავენ გაზეთს, ფათერაკით შემოაქვთ ხელმოსაწერი ფული, ფათერაკით ფილოსოფოსობენ, ფათერაკით სულელობენ. ამ ჯურის ხალხი უვნებელია გაზეთის თანამშრომლისათვის, ერთის სიტყვით,

«თავი ყოლა ნუ ჰგონიათ
კარგ მკითხველთა თანასწორი».
ვერას იტყვის და თუ იტყვის,
უმსგავსოა, შორი შორი.

რაც გინდ აპილპილებული და ალესილი შეგხვდეს, თუ ცოტა მაინც მოხერხება გაქვს, სანამ გაალებდეს სასაყვედუროთ პირს, შენ იმას მოჰრთავ შენებურად და, ნაცვლად საყვედურისა, წარმოათქმევინებ «ხოტბას ტკბილისას ხშირისას». ღმერთმა შეუნდოს მათ მარად შეცოდებანი მათნი, რამეთუ არა იციან რასა იქმან...

მესამე და უკანასკნელი გუნდი ჩვენის საზოგადოებისა—აი, აქ კი უნდა გავჩერდეთ ცოტათი, მისთვის, რომ აქ არის დასასრული დასაწყისისა, ანუ, უკეთესია ვსთქვათ, დასაწყისი დასასრულისა. ხოლო არ იფიქროთ, რომ ჩემი ყურადღება ამ მკითხველების მიმართ დაფუძნებული იყოს სიყვარულსა, ანუ და რამე ამ გვარ გრძნობაზედ. სიყვარულიო?! ჩემი მათდამი სიყვარული? აი, «ჰსწვიმოს ცოდვილთა მათ თავსა ზედა მახეა, ცეცხლი და წუნწუბა და სული ნიავქარისა, ნაწილი სასმელისა მათისა», სანამ არ მივეშველო სახსნელად! არა, სიყვარული კი არა, მეორე კანონიერი რამ გრძნობა მაიძულებს მივაქციო მათ უფრო მეტი ყურადღება და როგორც ამ გრძნობას, აგრეთვე მისს წყაროსაც დაინახავთ ამ მკითხველების ვინაობის აწერიდამ.

⁂

ეს გუნდი საზოგადოებისა შესდგება თითქმის სრულიად ფილოსოფოსებისაგან, რომელნიც რაც უნდა იყვნენ, და სადაც უნდა იყვნენ. ე. ი. რა საზოგადო ასპარეზზედაც გინდა მოღვაწეობდნენ, ყველაზე უწინ მაინც თავისებურ ფილოსოფოსებათ ჰრჩებიან. წევრია ის «ქუჩის მტკეპნელ საზოგადოებისა», თუ პროფესსორი გლახათუბნელი უნივერსიტეტისა, ის მაინც ყველაზე უმაღლ ლიბერალია, ბრასი ლიბერალი, ჩვენებური ლიბერალი... მაგრამ, შეიძლება, თქვენ არც კი იცოდეთ, რა ან როგორი ნადირია «ჩვენებური ლიბერალი?»—არა?—ეს სამწუხაროა! ჩვენებური ლიბერალი—შესანიშნავი რამ ქმნილებაა და ღირსია, რომ ოდესმე მიექცეს მას ჯეროვანი ყურადღება ჩვენის მწერლობისაგან. იგი მკვიდრი შვილია სნეულ აწმყოსი, უკანონო ძე

ბლომა ადგილები დაეჭიროს და დაეჩემოს საშვილი-შვილოდ. ამ სახით სხვანი ხელ ცარიელნი დარჩენილან და იმა შეძლებულისაგან თავისავე სათემო მამულს დალით იღებენ, რომ როგორმე თავი ირჩინონ.

აი ის დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის ეკონომიურ განწყობილებისა, რომელიც დღეს ჩვენის სოფლის ტკივილს შეადგენს და რომელიც მიწათ-მფლობელობის საქმეს ერთის-მხრით ძლევა-მოსილად კერძო საკუთრებისაკენ მიეზიდება და მეორეს მხრით—შესანიშნავის მარცხით—სათემოსაკენ. ამას რასაკვირველია, შველა უნდა. ამისთანაებში ყოველთვის გამჭრიახმა და მგრძნობიერმა გლეხ-კაცობამ იგრძნო ეს ტკივილი და წამალიც უპოვნა. ბევრგან განაჩენებია დღეს შემდგარი, რომელშიაც გლეხკაცობამ აშკარად აღიარა, რომ სახასო სოფელი—სოფლისაა საერთოდ და არა თვითეულის მკვიდრისა საკუთრივ. დაუდო რა თავის განაჩენს ეს დედა-აზრი საფუძვლად, დაადგინა, რომ ყველა მკვიდრი იმოდენად მონაწილეა მთელს სოფლის მამულში, რამოდენის მსურველიც არის, თუ სასოფლო მამული ყველას სურვილს გასწვდა. და რაკი დღეს მეტ-ნაკლებობაა ერთმანეთში და დიდი უსწორ-მასწორობა, განაჩინა ხელ-ახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქმნას სასოფლო მამულები. ამისთანა განაჩენები უკვე შემდგარია ქართლსა, კახეთსა, სომხითსა და ტფილისის მაზრის სოფლების მიერ. ჯერ მარტო ტფილისის მაზრაში 45 სოფელს შეუდგენია ამისთანა განაჩენი, აქედამ 12-ს უკვე დაუყვია კიდეც მამულები, 11-ი შესდგომია დაყოფვასა. ქართლში 16-ს სოფელს შეუდგენია განაჩენი. მათში 10-ს კიდეც დაუყვია მამულები, 2-ს განაჩენი არ შეუდგენია და ხელი კი მიუყვია და 4-ი უკვე შესდგომია და მებრვე სხვანი.

ამაზედ არა ერთხელ მოგვიხდება კიდევ ლაპარაკი ჩვენს გაზეთში და დღეს, მარტო აღვნიშნეთ რა ეს სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო ფაქტი, ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის მერმედ ამისთანა დიდმნიშვნელობიანი და ერთობ დიდი საქმე ჩვენის შინაურის ცხოვრების შესახები, არა ყოფილა და არ მომხდარა.

ახალი ამბავი

⁂ ქუთაისიდგან სწერენ გაზ. «Кавказъ»-ს, საერო წიგნთ-საცავის პატრონს და კლასიკურის გიმნაზიის მასწავლებელს ი. პ. პეტროვს თხოვნა მიურთმევია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის და უთხოვნია ნება მომეცით უსასყიდლო სახალხო წიგნთ-საცავი გავმართოვო ქუთაისში. ამ სახალხო წიგნთ-საცავში იქნებიან საუკეთესო სახალხო წიგნები და ვადა-დანიშნულნი გამოცემანი ქართულსა და რუსულს ენაზეო. ბ-ნს პეტროვს ამავე თხოვნით მიუმართავს ქუთაისის ქალაქის საბჭოსათვისაც, რომ უსასყიდლოდ დაუთმონ სახალხო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსათვის სადგომი და ამასთანავე დაუსახელებია ქუთაისის სახალხო ბაღის პავილიონი, როგორც ყველაზედ უკეთესი ადგილი ამ საგნისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთო, დასძენს გაზეთი, რომ ქუთაისის საქალაქო საბჭო თანაგრძნობით მიიღებს ბ-ნ პეტროვის თხოვნას და ხელს გაუმართავსო.

⁂ რიგას გაზეთების სიტყვით, ზოგიერთი იქიდამ გადმოხიზნებულნი, მაგალითებრ, ესტები, რომელნიც ამ ახლოს ხანში გადმოსახლდნენ კავკასიაში, უკანვე ბრუნდებიანო და მეტად საწყლად და გაჭირებულნი არიანო.

⁂ ძეგამის რკინის გზის სტანციიდამ შემდეგ სასაცილო ამბავს სწერენ გაზ. «Нов. Обоз.»-ს ამ ერთის თვის წინედ კამბეჩი ვილაცა გლეხისა სტანციის ახლო სძოვდა და უცბად სტანციის უფროსის აუზში ჩავარდა. რკინის გზის პოლიციამ განაჩენი შეადგინა, მომრიგებელ-მოსამართლეს გადასცა და სთხოვა, რომ კამბეჩის პატრონი კანონის 66 მუხ. ძალით სისხლის სამართალში მიეცა. მსაჯულმა დამნაშავე გაამართლა, რადგანაც ზემოდ მოყვანილი მუხლი ამ გვარ დამნაშავეს არ შეეხებაო. მაშინ მსაჯულს მეორე განაჩენი გადასცეს. ამ განაჩენით ბედ-კრულ გლეხს ბრალი ედებოდა კანონის მე 111 მუხლის ძალით. მსაჯულმა თურმე არც ეს განაჩენი შეიწყნარა, რადგანაც მე 111 მუხლი სასმელ წყლის გაბინძურებას შეეხება და აუზის წყალს კი სასმელად არავინა ხმარობსო.

⁂ ნავთის მწარმოებელთა კრების თავს-მჯდომარემ გაზეთის »Каспи»-ს სიტყვით, ვიცე-დირექტორის სკალკოვსკისაგან პეტერბურღიდამ შემდეგი დეპეშა მიიღო: «მინისტერმა შესაძლოთ დაინახა, ნავთ მწარმოებელთა მესამე კრებამ სხვა იქონიოს ნავთის ბაქის თაობაზე».

ნაკვესი

სოლომონ მეფეს გაექცა ხუმარა თარხანი და შეეკედლა ქართლის მეფეს. მეფე სანადიროდ წაბძანდა და თან იახლა თარხანი და კიდევ ხუთხმეტი სხვა მონადირე. ვერაფერი ინადირეს და ხის ძირში დაისვენეს. მეფემ უბრძანა მონადირეებს და თანაც თარხანს თითო კვერცხი უნდა დადვათ და ახლავე მომიტანოთო. თარხანი დაფიქრდა, მეფემ ეს რა ბრძანაო, კვერცხი რა ნაირად უნდა დავდვაო. მერე იფიქრა, როგორც სხვანი იზმენ, მეც ისრე მოვიქცევიო და გაჰყვა მონადირეებს უკან. მეფე და მონადირენი წინ-და-წინვე განდობილ იყვნენ თურმე და მონადირეებისათვის თან წამოეღებინებინა კვერცხები თარხანთან სასუმაროდ. ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ მონადირეები მივიდნენ და კვერცხები მიართვეს მეფეს.

— შენ რატომ ვერ დადე კვერცხი? გლახა ჭყოფილხარო, უბრძანა მეფემ თურმე თარხანს.

— ბატონო, ამდენ დედალს ერთი მამალი არ უნდოდაო, მოახსენა თარხანმა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისი. 20 ფებერვალს. ნადიმებზე სიარული ისე არ მაწყენს, როგორც სიტყვისა და შესხმის წარმოთქმა ამ ნადიმებზე; ღამის გაგვიყდე ამ შესხმათა მზადებაში,—ამბობს ღირსი და განქნილი გუბერნატორი «პერიკოლაში». ეს სიტყვები მაგონდება, როდესაც ამ ჩვენ იმერეთის ცხოვრებას ვაკვირდები. ამ მოკლე ხანში ერთობ გახშირდა ეს ნადიმები. ჩვენს უფერულ და მიძინებულ ცხოვრებაში ჩვენ დიდის სიხარულით ვეძებთ რაიმე მიზეზს, რომ თავი ერთად მოვიყაროთ და საჯაროდ ვიდღესასწაულოთ რაიმე ხშირად უმნიშვნელო საგნისა გამო. წარსულ შემოდგომაზე რომ ნადიმი გავმართეთ, ის ხომ ყბად-აღებული შეიქნა მთელს ჩვენ არემარეში და არა თუ ჩვენს არე-მარეში, უფრო შორსაც და იმის გამო ჩვენც ხომ ათვალ-უნებულნი შევიქნენით... წარსულს იანვარში ორი ნადიმი გაიმართა ქუთაისში. 12 იანვარს რუსეთში პირველის უნივერსიტეტის დაარსება ვიდღესასწაულეთ. «რუსის ქვეშევრდომის ცხოვრებაში, ამბობდა ერთი გამოჩენილი რუსის მწერალი, უნივერსიტეტში ყოფნის დრო საუკეთესო დრო არისო» და მართლაც ვის არ აგონდება ის ოთხი დაუვიწყარი წელიწადი, როდესაც ნორჩ ადამიანს გონება ეხსნება, როდესაც იგი მარტო იდეალურის ცხოვრებით არის გატაცებული და ახალის თვალით უცქერის ყველაფერს დედა-მიწაზედ და ავტორიტეტებს ბრმად აღარ ემონება... როგორც ჩვენი პოეტი «მგზავრის წერილებში» ამბობს, «ის ოთხი წელიწადი უნივერსიტეტში ყოფნისა ხშირად უფრო ნაყოფიერია, ვინემ მთელი შემდეგი ცხოვრებაო». ქუთაისის ქართველთ სტუდენტებმა სიამოვნებით მიიღეს ამ დღესასწაულში მონაწილეობა მით უმეტეს, რომ ცალკე უნივერსიტეტისას-კი არა, საზოგადოდ მეცნიერების ტაძრის დღეობას ვდღესასწაულობდით, მეორე ნადიმი წმ. ნინოობას გაიმართა. სიტყვები, რომელიც იქ წარმოითქვა, უკვე «ივერიაში» დაბეჭდილი იყო. როგორც ისმის, ზოგიერთ ვაჟბატონებს ეს ნადიმი არ მოსწონებიათ. შარშან კირილე და მეთოდე ვიდღესასწაულეთ და თავი არავის გამოუდვიაო, წელს-კი წმ. ნინოობაზე რად აყაყანებულხარო! მეუბნებოდა ერთი იმ სადილზე მყოფი. ეჰ, მახლას!

ამ უკანასკნელ დღეებში ორი შესანიშნავი ამბავი მოხდა ქუთაისში: ერთი სასიხარულო და მეორე დასაკვირვებელი. ქართველთ ქალებმა განიზრახეს ხელახლად ყურნალის დაარსება. ვისურვებთ ამ ახლად დაბადებულ ყურნალისათვის უფრო ხანგრძლივს სიცოცხლეს, ვიდრე ასე უდროოდ მიცვლილ აჭარს ყურნალ-გაზეთს «ქართულ ბიბლიოთეკას» და «შრომასა» ჰქონდა. მტრის ეხა ახლავ ყორანივით დაჰკივის, რომ ქალებს ვერც

წარსულისა, დანაბადი თანამედროვე «განათლებისა». ყმაწვილობისას იმას უსწავლია რამე და სადმე, ხან-და-ხან ჰყოფილა კიდეც უნივერსიტეტში, მაგრამ არსაიდამ არაფერი არ გამოუტანია, გარდა სულელური მეტიჩრობისა და გაზვიადებული თავ-მოყვარეობისა. მთელი მისი მეცნიერება მდგომარეობს მასში, რომ ქვეყანა ცუდათაა მოწყობილი და სჭირია გადაკეთება, მაგრამ როგორ, ან რა ნაირად უნდა მოხდეს ეს გადაკეთება, ამის, რასაკვირველია, არ გაეგება არაფერი. მიუხედველად მისა ის თავის დღეში არ გამოგიტყდებათ, რომ ესა და ეს არ ვიცი და ან არ მესმისო. აჰ, ეს როგორ შეიძლება! მან ყოველიფერი იცის, მას ყოველიფერი ესმის და, რასაკვირველია, ყველაც ასე უნდა იცნობდეს. უმეტესს შემთხვევაში ეს მაინც ასეა, საზოგადო აზრი მართლა რომ ლალადებს მასზე როგორც ფილოსოფოსზე და ამ გვარ აზრის განსამტკიცებლად ჩვენებურ ლიბერალს თავისი «პოლიტიკა» აქვს, რომელსაც იგი არაოდეს არ ივიწყებს და მუდამ იწინამძღვრებს ფარ-ხმალად. ეს ფარ-ხმალი—დროთი სიჩუმე, დროთი გადაკვრითი ლაპარაკი უცნობ საგნებზე და მუდმივი მედიდურობაა. ზის, მაგალითად, ამ გვარი «ლიბერალი» რომელიმე ქალაქში ან სოფელში და იფუყება ინდაურივით. პირის-სახე მუდამ მოღუშული და უცინარი აქვს, ვითომ და რაღა: «სად მცალია სამხიარულოდ, ქვეყნის ბედი და უბედობა ყელში მომდგომიაო. საზოგადოებაში ან სულ არ იღებს ხმას, ან და წამოისვრის ორიოდე სიტყვას და იმასაც, რასაკვირველია, მაღალ საგნებზე, აი, ვსთქვათ, პოლიტიკაზე, ანუ და ლიტერატურაზე. ამ ორში, რა თქმა უნდა, უფრო ხშირად უკანასკნელს ეხება, მისთვის რომ პოლიტიკა ჩვენ საზოგადოებისათვის უცნობი ხილია და ლიტერატურა კი უფრო ახლო საგანი. სხვა თუ არა, ის მაინც იციან, რომ ჩვენში ეს და ეს გაზეთი გამოდის და ეს და ეს მწერალი მონაწილეაო. მაშასადამე «ლიბერალისათვის» შესაძლოა წარმოსთქვას თავისი «აზრი» მათზე და ამ გვარად «მკვახე» და «ორ-აღლიანი» სიტყვების რახა-რუხით «ისახელოს» თავი გლახათუბნელ საზოგადოებაში.

— რა აზრის ბრძანდებით თქვენ ამა და ამ გაზეთზე? ჰკითხეს, ვსთქვათ, «ლიბერალს» გლახათუბნელებმა.

— რა აზრის?!.. ничего себѣ!.. თუმცა, ჰო, того-съ... ესე იგი, გესმისთ ხომ? ერთის მხრით, არ შეიძლება არა ვსთქვათ, თუმცა, съ другой стороны, «ერემენის პოტრებნოსტებიცაა» მისაღები მხედველობაში. ამის გარდა «ოჟივლენიე» აკლია კიდევ და ენაშიაც სისუსტე ეტყობა, «ვირაზიტელნოსტობას» რო ეძახიან ის არა აქვს «ნასტოიაშჩი...»—ნეეეტ, დაუმატებს ბოლოს «ლიბერალი», «მოიო მნენიე» ეს არის, რომ სანამ ძველები მეფობენ და ჩვენ «მალადიოჟი» ვსტორონე ვდგევართ, სიკეთე არ იქნება. ეტო, того-съ, ზაკონი არის პრიროდის...»

ამ გვარ «მნენიებით», რასაკვირველია, «ლიბერალი» ჰხვეჭს სახელს და შიშის ქარს უყენებს ტანში პროვინციალურს ლუარსამებს:

— მამა! რას ამბობ? ამას რომ ალვირი მიუშვან და თავის ნებას მიაყოლონ, ქვეყანას დაჰქრავს კალმით! ამბობენ გულ-წრფელი ლუარსამები.

«ლიბერალსაც», მოგეხსენებათ, ეს უნდა და სულ იმის ცდაშია, რომ ეს აზრი ჩემზე არ გამტყუნდესო და უკვე მოხვეჭილი დიდება საშვილიშვილოდ შემრჩესო. უნდა ვსთქვათ გამოტეხილი, რომ ამ განზრახვის მისაღწევად ის მეტად ხერხიანად იქცევა. ერთი რომ ვითომ და შორიდამ ეთაყვისიანება რედაქციას და მისს წევრებს, თუმცა, რასაკვირველია, თან კიდეც ესხვისტომება. ეს ადვილი საქმეა. ამისათვის დიდი შრომა როდია საჭირო: უნდა მისწერო რედაქციას, რომ ასე და ასე, «მაქვს სურვილი, პატივცემულო რედაქცია, შეგატყობინოთ დრო-გამოშვებით ჩვენი კუთხის ახალი ამბები და თქვენ რას ბრძანებთ ამაზეო». პასუხად, უეჭველია, შამოგითვლიან, რომ დიდათ მოხარული ვართ და «უმორჩილესად გთხოვთ ნუ მოგვაკლებ თქვენის ნიჭიერის კალმის ნაწარმოებსო და განაგრძეთ თქვენი ღვაწლი ჩვენის მწერლობის სანუგეშოთო». თუ ასე არა, სწორედ ამ გვარად მაინც იქნება შეზავებული რედაქციის პასუხი, მისთვის რომ ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ყველა ზრდილობიანია, გაზეთის თანამშრომლებიც კი. «ლიბერალსაც» ეს უნდა: ფირმანი ნაპოვნია, მისი დიდება მის «მოწინააღმდეგეთაგანაც» ცნობილია და მაშასადამე ლუარსაბ თათქარიძეები ეხლა ხომ სულ ჰკვიდამ უნდა შაიშალონ. ამის შემდეგ «ლიბერალისათვის» ერთად ერთი-ღა ხერხია საჭირო, რომ არამც და არამც არაფერი დასწეროს და არ გააგზავნოს რედაქციაში, მისთვის რომ ამ გზით მისი არარაობა ადვილად შეიძლება გამომჟღავნდეს.

— რისთვის არაფერსა სწერთ გაზეთში? ჰკითხავენ ლიბერალს.

— ჰო, გაზეთში! ზანტად უპასუხებს იგი. მართალია, შემაწუხეს თხოვნით (აქ რედაქციის წერილი მესამეჯერ ამოიღება ჯიბიდამ და გადაეცემა მკითხველს), მაგრამ, ნეტ, ვერ ავუსრულებ თხოვნას. ესლი პისატ, რამე ოსნოვატელნოე უნდა დასწერო და სააჰი-ბაჰიოთ, იზვინიტე, არა მცალიან და სხვა...

⁂

აი, დაახლოვებით, სწორედ ამ გვარი არიან ის პირები, რომელნიც შეადგენენ მესამე ნაწილს საზოგადოებისას და აბეზრებენ თავს როგორც რედაქციას, ისე მისს თანამშრომლებს უადგილო და უსაფუძვლო შენიშვნებით. ეს თავის მობეზრებაც «პოლიტიკას» შეადგენს და მათ პროგრამაში შედის: «რჩევას ვაძლევთ, შეცდომებს ვუსწორებთ», ელაპარაკებიან ლუარსაბებს. ამ რჩევებმა, დარიგებამ, საყვედურმა და ქებამ ხან-და-ხან ლამის ილაჯი წაიღონ. გაზეთის თანამშრომელი სწორედ რომ წამებულია მათგან და არ იცის, რა სახსარი იხმაროს მათ წინააღმდეგ. ერთი წამალი-ღაა მხოლოდ;—ყური არ უნდა ათხოვო, მაგრამ ესეც ძნელად შესასრულებელია, რადგან ერთი რომ ამ გვარი მკითხველებიც ბლომათ არიან და მეორე,—მათ ექომაგება მეორე ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც, როგორც მოხსენებულია ზემოთ, თავისი არაფერი აქვს და ამოიძახის იმას, რასაც სხვები ჩასძახებენ... ამათ კიდევ ზედ ემატებიან ისინიც, რომელთაც თუმცა არაფერი ცუდი რედაქციისათვის არა სურსთ, მაგრამ ლაყბობენ изъ любви къ искусству, როგორც იტყვიან რუსები. თქვენი მტერი, როგორ გაგვიმწარეს ყველამ ამათ სიცოცხლე. უნდა მოვახსენო მკითხველს, რომ მე ჩვეულებათ მქონდა დღეში ერთი საათის განმავლობაში სეირნობა გოლოვინის პროსპექტზე; ეს ჩვეულება შეადგენდა ჩემთვის უპირველესს სიამოვნებას. ხომ არ დაიჯერებთ, ეს სიამოვნებაც მომისპეს ამ ულეთოებმა. კარგად მახსოვს ეს შავი და უბედური დღე. იმ დღეებში, როდესაც გამოვიდნენ პირველი ნომრები «ივერიისა», ჩვეულებრივად გავემგზავრე მეც სასეირნოთ გოლოვინის პროსპექტზე. გადავდგი თუ არა რამოდე-

გამომცემელი და ვერც რედაქტორი უშოვიათო ამ ჟურნალისათვის და მოკლე ხანს უქადის იმის არსებობას, თუ კი დაიბადა...

მეორე ამბავმა დიდად აღძრა აქაური მოხელენი. ერთი მათგანი ბ-ნი გ. დაუკითხავად მეორე გუბერნიაში გარდაიყვანეს. ამბობენ რომ აქამომდე ეს პირველი მაგალითია, ამ წოდებაში და ზოგი ახალს შემოღებულს მმართველობას აწერს და ზოგი კი ქაღალდებს ჯღაბნის, სადაც ჯერ არს. ხომ გაგეგონებათ, ჩვენ, იმერლები მეტიან დაწვრთვნილნი ვართ ამაებში და იმდენად მოვაბეზრეთ ამით მთავრობას თავი, რომ ტფილისის სინოდის კანტორამ ამას წინად საჯაროდ გამოაცხადა «Кавказъ»-ში: ვინაიდგან, იმერეთიდამ ხელ-მოუწერელი დაბეზღება მრავალი მოდისო, ამიერიდამ მათ ყურადღებას აღარ მივაქცევთო. საკვირველი სენი გახშირდა ჩვენში! ზნეობა დამცირდა საოცრად, ვიტყვით ჩვენც ჩვენს ყოვლად პატივცემულს ეპისკოპოზს გაბრიელთან ერთად, რომელმაც ამ დღეებში ამ სიტყვებით დაიწყო თავისი მოძღვრება სამწყსოსთან ახლად დაარსებულ «ძმობის» შედგენის დროს.

უკანასკნელ დღეებში ხმა დავარდა საზოგადოებაში, ვითომც ქუთაისის გუბერნიას ახალი ადმინისტრატიული განყოფილება მოელოდეს. ეს ხმა მით უმეტესს დატრიალებს, რომ ბ-ნი გუბერნიის მმართველი პეტერბურღში მიწვეული იყო. ამბობენ, ბათუმის მაზრისა, გურიისა, ნახევარ სამეგრელოისა, აფხაზეთისა და ჩერნომორიისაგან ახალი სამხედრო გუბერნია შესდგებაო, ხოლო ქუთაისის გუბერნია სამოქალაქო გუბერნიად შეიცვლებაო.

მარტში დანიშნულია საურთიერთო კრედიტის ბანკის საზოგადო კრება და არჩევანი. ახლავე ისმის, რომ კანდიდატები მზადებაში არიანო და ვექილობის გარდაცემ-გარდმოცემაა ატეხილიო! გარდა ერთის დირექტორისა, რომელიც თავის ნებით სტოვებს ბანკს, უნდა გამოვიდეს წესისამებრ თავჯ-მჯდომარეც. ასახელებენ თავჯ-მჯდომარედ იმ ახლად გარდაყვანილ მოხელეს, რომელიც წინად მოვიხსენიეთ. საეჭვო კია, რომ უმრავლესობა, ნამეტურად ვაჭრები, მიეკედლონ და მიემხრონ. მართალია, ფაცი-ფუცს, ცდას და ხარჯს არჩევანის დროს ჩვენში ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ვაჭრები მაინც თავისას იზამენ, ვისაც არ ენდობიან, არა მოირჩევენ,—და ან კი რა ეთქმისთ ამაზე!

ამას წინად ერთი მწერალი მწუხარებით იწერებოდა, ვითომც პროგრესი, წინ-სვლა ცოტა არ იყოს ამ უკანასკნელ დროში შეფერხდაო. ჩემის აზრით, ეს არ ითქმის ქუთაისზე. ვეცდები ახლავ დავამტკიცოთ. ჩვენ გვაქვს რკინის გზის შტო, ამ გაზაფხულზე ახალი რკინის გზა მიგვიყვანს ტყიბულის ქვის-ნახშირის მადნითან, ჩვენ გვაქვს ტელეგრაფები და სხვა-და-სხვა მეილი და ახალი გონების გასავარჯიშებელი სასწავლებლები, გვაქვს ბანკები, კლუბები და გასართობად მასკარადები და ამ მოკლე ხანში ცხენის-რკინის გზასაც გვიკეთებენ ქუთაისში! ნუ თუ ეს პროგრესს, წინსვლას არ მოასწავებს? მე აღარ ვამბობ იმაზე, რომ შარშან ხუთ მილიონ ფუთზე მეტი სიმინდი გაზიდეს ჩვენგან და ორ მილიონ ნახევარი ფუთი შავი-ქვა! ერთმა ჩემმა ნაცნობმა საიმაყით ჩამოითვალა ეს ფაქტები და გაჰკიცხავდა ის მუდამ მოუსვენარნი და მუდამ ყველაფერზე უკმაყოფილო მოწუწუნენი, რომელთაც ჩვენის პროგრესის უარ-მყოფელი მწერალიც ეკუთვნის, მეც რა მეთქმოდა და ბალი ადა! ვუთხარი ჩემს ნაცნობს, სასამართლო საქმეებში გართულს, რომ დიაღ, ბატონო, ჩვენ დიდ წარმატებაში და წინ-მსვლელობაში ვართ-მეთქი.—და მართლაც, ნუ თუ პროგრესი არ არის, რომ ბ-ნს ავალიანს ისეთი აზრი მოუვიდა, როგორიც არის ცხენის-რკინის გზის გაკეთების აზრი? წარსულს კვირაში კიდეც წარუდგინა ქალაქის საბჭოში ამ ცხენის რკინის გზის გაყვანის პროექტი. უფიქრნია რად უნდა ჩამორჩეს სხვა ქალაქებს, ქუთაისიო, მასაც აქვს ყველა ის დაწესებულება, რაც სხვა კეთილ-განწყობილ ქალაქებსაო. ერთი-და აკლია და ეს ერთი ცხენის-რკინის გზა არისო. მაშინ ქუთაისი ევროპიულ ქალაქად გადაიქცევაო. ჩვენც, როგორც განათლებულ ქალაქებში შემოღებულია, ეს პროექტი კომისიაში გარდავეცით გასასინჯავად. კომისიაში ერთი ინჟინერი მოჰყვა, ხოლო ზოგიერთებმა პროექტის შემდგენელის (თუმცა ამბობენ ბ. ავალიანის სახელს სხვა ამოჰფარებიაო ზურგს უკანაო) სურვილისამებრ დაინიშნეს ერთი ძველი ნაკონდუქტორალი დანიშნეთ უთუოთ კომისიაშიო და ამტკიცებდნენ, რომ დიდი ცოდნა აქვს ტეხნიკისაო. აშორის! ვინ ფოსტის კონდუქტორი და ვინ ტეხნიკა! ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ეს არ წარმოითქვა; შემდეგ ამისა ყველამ აითვალწუნეს ეს პროექტი, ყველა კვალში ჩაუდგა იმის გასინჯვას. ზოგი ამბობდა, რა დიდი მანძილია ქუთაისის ნაწილთა შორის, რომ «ტრამვაის» გასჭირობდეთო, ზოგი ამბობდა, ვალებში და ვახშებში ვიხრჩობით და ახლა კიდევ ახალი გარდასახადი დაგვიდოთო, და სხვანი და სხვანიო? ხომ მოგეხსენებათ, ქვეყნის ლაგამს ვინ გაუშვებსო. ვაი თუ ამ ნაკონდუქტორალის ხსენებამ ეს ტრამვაის პროექტიც თან სრულიად დამარხოს და ჩემი აზრი ქუთაისის სწრაფის ნაბიჯით წინ-მსვლელობისა აღარ დამტკიცდეს! სხვისა კი რა მოგახსენო და მე კი ბევრს ვინანებ. მაინც იმედს ნუ დავკარგავთ და შევსძახოთ გამარჯვება ქუთაისის «კონკას»!

დამაკვირდი!

ყველაზედ სასაცილო ქვეყნიერობაზედ იგია, როცა სულელი მეტიჩარა გაბუშული დადის. (ბუასტი)

* *

სარწმუნოება არის სამკურნალო გულთა, ქვეყნის მიერ დაწყლულებულთა.
(პეტი-სენნი)

* *

ხე ხილისგან, ხილი ხისგან,
ნათქვამია, იცნობება.
(არჩილ მეფე)

* *

უჭკუოდ კაცის სიკეთე,
ვაი, რა ცარიელია!
(მეფე ვახტანგ VI)

* *

ვით ახალ ნორჩი ვაზისა
ხელს მიჰყვეს საფურჩქნელადა,
ეგრედ ახალი მოზარდი
ყრმა ოსტატს გასაწვრთნელადა.
(დავით გურამიშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სამხრეთის რუსეთის გაშლილი, თვალ-გადუწვდენელი მინდვრები განთქმული იყვნენ თავიანთ ნაყოფიერებით. უწინ აქ იმოდენა მოსავალი მოდიოდა, რომ არამც თუ მთელი რუსეთი იკვებებოდა ამის ჭირნახულით, არამედ საზღვარ-გარეთაც კი გაჰქონდათ მრავალი. ბევრს ახსოვს კიდევ ის დრო, როდესაც აქ მიწას თითქმის აუარებელი ჭირნახული მოჰყვანდა, ეხლა კი მიწამ სრულებით დაკარგა ძალა და აღარაფერს აძლევს პატრონსა.

ვისი ბრალიაო? იკითხება ოდესელი კორრესპონდენტი გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ებისა, მიწამ რა ქნასო, რომ მიწას არც რიგიანი მოვლა აქვსო, და არც შესვენება; რომ პატრონი თავს არ ადგა და რიგზედ თვალ-ყურს არ ადევნებსო, რომ ტყეები უწყალოდ იკაფებაო, მიწას ნამი აკლდებაო, და სარწყავებზე კი არავინა ჰფიქრობსო. თუ ეხლავ [illegible] ასის წლის შემდეგაც ჩვენ სველი გაზაფხული და გრილი ზაფხული დაგვიდგა, ჩვენ უწინდელი მოსავალი ისევ დაგვიბრუნდებაო. რადგანაც ზეცის ძალი ჩვენს ხელთ არ არის, მაშასადამე ისევ მიწას უნდა დაუბრუნდეთ და ხელი როგორმე შევუწყოთო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მიწის მოვლა და ხელის შეწყობა ჩვენ სრულიად არ ვიცით. აი მაგალითად, ავიღოთ, ვთქვათ, ორას დღიურის პატრონი: ას-ორმოც-და-ათ დღიურს იჯარით აძლევს, დანარჩენიც საბალახედ, საძოვრად, გზებს და ხევებს უჭირავს. ასე მიდის წლითი-წლობამდე. როდის-ღა შეისვენოს მიწამ. ამას კიდევ თავი დავანებოთ. შეჰხედეთ, რას სჩადის მამულის პატრონი, თუ რომ კარგი მოსავალი მოუვიდა: მაშინვე ათას გვარ გამოუსადეგარს მაშინებს ყიდულობს, იბარებს საიდგანღაც მსწავლულს მებაღეს და ბაღნარის და ყვავილების გაშენებას მიჰყოფს ხოლმე ხელსა. ამის მაგიერ, ჩვენი მამულის პატრონები, რომ კარგად აფიქრდებოდნენ თავიანთ მერმისს, რომელიც ბევრს არაფერს სანუგეშოს უქადის, ჭკუას დაულაგდნენ, ცოდნის შეძენას ეცადნენ, ალებ-მიცემობისა შეიგნონ რამე, შეერთდნენ, შეერთებულის ძალით საქმეს შეუდგნენ და ტყუილ-უბრალოდ მოიჯარადრე—ვაჭარ-ჩარჩებს არ ეყვლეფინებოდნენ,—უფრო უკეთესი იქმნებოდაო.

თავი-და-თავი კი მაინც ის არის, რომ ჩვენმა მამულის პატრონებმა მიწის მოვლა და შემუშავება ისწავლონ, მტრულად არ ექცეოდნენ და სამუდამოდ ძალ-ღონეს არ ულევდნენო.

მივაქცევთ ჩვენის მემამულეების ყურადღებას და ვურჩევთ, კარგად დააფიქრდნენ ამ სამართლიან სიტყვებს. მართლა და მიწა ულეველი მადანი არ არის. თუ რასაც მიწას ართმევთ, დრო-დროით მაინც უკანვე არ დაუბრუნეთ, ბოლოს სულ ცარიელზედ დარჩებით. დღევანდელზე გამოიყენეთ, მაგრამ ნურც მერმისას დაივიწყებთ!

* *

ჟურნალ «Недѣля»-ში საყურადღებო ცნობებია მოყვანილი იმის

ნიმე ნაბიჯი, შევეჯახე ჯერ ერთს ფილოსოფოსს.

— რა გიყვიათ, კაცო, ეს? რას სჩადიხართ, ნეტავ?—შემომძახა მან წყრომით.—შრიფტი, შრიფტი, მე თქვენ გელაპარაკებით; რა შრიფტია ეს შრიფტი,—თვალებს უესებთ ამ თქვენ მკითხველებს, თუ რას შვრებით?!..

— რაებს ამბობ ერთი! ვუპასუხე მეც წყენით; სადაური თვალის დავსებაა, რა უშავს ნეტავ ამ თქვენგან დაწუნებულს შრიფტს?..

— როგორ თუ რა უშავს? შემომიტია ფილოსოფოსმა, ერთი რომ...

მე არ ვათხოვე ყური და გავეშურე წასასვლელათ. გავიარე თუ არა ორიოდე ნაბიჯი, ვიღაცამ მსტაცა ხელი, ჩამიკრა გულში, ჯერ მაკოცა ერთი ერთ თვალში, მერმე მეორეში, შემდეგ მეამბორა ტუჩებში და აღტაცებით შემომძახა:

— აი, ეს სულ სხვაა! თქვენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, არა,—რა შრიფტია და! მარგალიტებსავით გამოსჭვიან ასოები! ერთის სიტყვით, უყურებ და გულს უხარის...

როგორც იყო დავუსხლტი ამასაც ხელიდამ და გავექანე ჩემთვის, მაგრამ მაინც ვერ ავუარე გვერდი განსაცდელს; ზე ცხვირ-წინ გადამეღობა გზაზე მესამე ფილოსოფოსი და მრისხანედ აღმართა ჩემ-წინ სალოკი თითი:

— შენ ეს მითხარი, შემომყვირა მან მუქარით, რა არის «სიტყვა-კაზმული ლიტერატურა?» «სიტყვა-კაზმული» რაა მეთქი, გეუბნები მე შენ?!.. «ბელლეტრისტიკა» განა არ შეიძლებოდა! მერმე ეს «აზრთა-მრკვევი» რაღა ოხრობაა?! საიდამ შემოიღეთ ეს სიტყვა, რომელიც ჯერ კაცს არ გაუგონია? ამას გარდა კიდევ... მაგრამ აქ მე უეცრად გამოვიხატე გაკვირვება ჩემს სახეზე და თითქო შიშით შევკივლე: «ეს რა ამბავია მეთქი!» ფილოსოფოსი მკვირცხლად მოტრიალდა იმ მხრისკენ, სითაც მე ვიხედებოდი, რომ დაენახა რამ მიიზიდა ჩემი ყურადღება. მე კი ხელთ ვიგდე დრო, ვიტაცე კალთებში ხელი და მოვკურცხლე გურულივით. რაკი ჩავერიე ხალხში და გავიარე რამდენიმე მანძილი, სული მოვიბრუნე ტოტათი, გადავიწერე პირს-ჯვარი და ის იყო ვაპირებდი «ნეტარ არს»-ის წაკითხვას გულის დასამშვიდებლათ, როცა ვიღამაც მომავლო ხელი წელში უკანიდამ, მომაბრუნა თავისკენ და ხელ-გულზე დაყრდნობილი, თვალ-ცრემლიანი ამეყუდა თვალ-წინ.

— არა, თქვე ულმთოებო, თქვენა! მითხრა მან ალერსიანის ყვედრებით, — თუ ამისთანა სიტყვები გვქონდა ჩვენ, რას უყურებდით ამდენხანს. «სიტყვა-კაზმული», — იჰ, რა მშვენიერებაა?! რა საუცხოოთ ჰხატავს საგანს?!. ჰმ! «აზრთა-მრკვევი!»—ესეც ჩინებულია!.. გვქონია, თურმე ჩვენც ენა, ჩვენ არ გვცოდნია, თორემ, დააბოლოვა მან თავის ქნევით და ჯიბიდამ ცხვირსახოცი ამოიღო სიხარულის ცრემლის მოსაწმენდათ...

აქ კი ჩემმა მოთმინებამაც ვერაფერი ჰყო. მე მივატევე ჩემი მესაუბრე, გალავინის პროსპექტიც და გავსწიე შინისაკენ.—მეწყერს წაუღია ყველაფერი, პროსპექტიც და ახალი ჰაერიც, თუ ამდენს ბრძენს გზას ვერ ავუქცევ...

* *

ნუ იფიქრებ მკითხველო, რომ რაც უბედურობა გვჭირს ჩვენ მხოლოდ აქაურ ქალაქელ ფილოსოფოსებისაგან გვჭირს. სრულიადაც არა! ქალაქ-გარეთთა ფილოსოფოსნი კიდევ უარესს ამბებს სჩადიან. ზოგი რას იწერება და ზოგი რას! უადგილობა გვაიძულებს ჩვენ შევამოკლოთ ეს ჩვენი ფელეტონი და მხოლოდ რამოდენიმე ნაწარმოები ამ ფილოსოფოსებისა წარუდგინოთ მკითხველს. ამ მაგალითებიდამაც შეიძლება მათი ავტორების დაფასება, რომელნიც უმეტეს ნაწილად უსახელოდ იწერებიან.

ფოსტის დაუდევრობით, ანუ მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა, ვსთქვათ, დღით უფრო გვიან მოუვიდა გაზეთი ფილოსოფოსს. ის იმ წამსვე ჯდება და სწერს რედაქციას უმსგავს წერილს, რომელსაც ათავებს შემდეგი სიტყვებით:

> «ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, მოგვცეთ პასუხი ამ კითხვაზედ: შეგიძლიანთ თუ არა იმ მოთხოვნილებათა შესრულება, რომელიც აწევს რედაქტორს ქართული გაზეთისა, გაქვსთ თუ არა მასალა, რომ შეამსოთ ფურცლები თქვენის გაზეთისა და მოგვცეთ ჩვენ ყოველ დღიური «ტვინის საჭმელი, როგორც ამბობენ განათლებულ ევროპაში. თუ არა და,—ჩვენ გვაქვს შეურყეველი იმედი» და სხვ.

რისხვაა, მა რა?...

მეორე ფილოსოფოსი უფრო ფილოსოფიურ კილოს მისდევს თავის ეპისტოლეში:

> «იკლიკანტურ ბაასს, ლაყბობას და ოხუნჯობას რომ თავი დავანებოთ, ამბობს იგი, და მასთანავე მასლაათიც პატივცემულ მკითხველებთან რომ კრილოვის დემიანის თევზის წვენათ არ გადაიქცეს, ამისათვის ეს წერილი შეძლებისა და გვარად შევამოკლე და მასთანავე ინსინუაციები და ინტრიგებიც გოლგოთის მთისკენ გავგზავნე:.. ეს თუ ასეა, მაგრამ მე მაინც «ურწმუნო თომათ» ვრჩები და მზათა ვარ რომ ჯეროვანი პასუხი მივსცე იმ პირთ, რომელთაც და სხვ...»

შემდეგ ბ. ფილოსოფოსი ბრძანებს ბევრს რასმე საგულისხმოს ჩემზე, თქვენზე, თავის-თავზე, მაგრამ, საუბედუროთ, თარჯიმანის უყოლობის გამო, მისი ფილოსოფია რჩება «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა...»

მესამე ფილოსოფოსი წყრება, როგორ თუ თქვენ მეთაურ წერილებს აწერთ ზევით «ტფილისი»-ო და წერილებში ტფილისზე კი არა—ინგლისზე და ავსტრო-ვენგრიაზე ლაპარაკობთო. ესო, გვამხილებს ფილოსოფოსი, უმეცრება არისო... მეტი, ბატონო! უსჯულოებაა, ნამდვილი უსჯულოება!...

მეოთხე კი დარბაისლურად და, ესაა სასიამოვნო!—მეტის მეტად ადვილად გასაგების და ტკბილის ქართულით გვატყობინებს:

> «პრეზიდენტმა დიდის ზეიმით მიიღო იგი (ახალი დესპანი ისპანიისა), განუცხადა სამძიმარი ალფონსის სიკვდილის გამო და უთხრა ასე: «მოახსენე ქრისტინეს, რომ მას მივუყვები ცხოველი (რა დამართნია, ნეტავ, პრეზიდენტს: ტირდატის საქმე ხომ არა?) თანაგრძნობით და ხელს მივცემ სრულ ჩემი აღთქმით მის მეუღლის მეფის უდროვო სიკვდილმა რომ უანდერძა იმ დიდი სარკვევის აღსრულებაში. აი, ამის თქმის გამო გრევი სასაყვედურო გახდა.»

სწორეთ მოგახსენოთ, არც ძალიან დიდის ქების ღირსი ყოფილა თუ მართლა ასე გარკვევით მიუსამძიმრა ქრისტინეს!.. აბა, იფიქრეთ, ამის მომწერიც კი თავგამოდებულათ ითხოვს: ქართული არამც და არამც არ გამისწოროთო. სოლომონ მსაჯულისა არ იყოს: «უღრმესად იფიქრეთ და ისე შეგვიბრალეთ»!..

ერთის სიტყვით, ვინ რას იწერება და ვინ რას, ვერ წარმოიდგენს კაცი. ერთი «ნაბიჯს ჰწამლავს» და ამისა გამო რედაქციას უწყრება: «როგორ არ გესმისთო?» მეორე გვაცნობებს, რომ თქვენ ჩემს ლექსებს არ ჰბეჭდავთ და ამის გამო პოეზიის არაფერი გაგეგებათო და სხვ...

ეხლა, ბატონო მკითხველო, დაიდევით გულზე ხელი და ისე ბრძანეთ: წამებული არ არის რედაქტორი, მეფელეტონე თუ სხვა ვინმე თანამშრომელი რედაქციისა,—რომელიც ყოველ ცისამარა დღეს ამგვარ წვალებაში სცხოვრობს და ამდენ პირველთაგან ამისთანა რამეებს ისმენს, «სად წარვიდეთ, ვის შევსჩივლოთ, ვის ვუთხრათ?!...

ილ. ხონელი

შესახებ, თუ რა პატივისცემით ექცევიან ოსმალები თავიანთ მასწავლებლებს.

ოსმალეთში, ამბობს ჟურნალი, მასწავლებლის პატივისცემა თითქმის ზენაურ თაყვანისცემას ემსგავსება. მასწავლებელი აქ პირველი და ყველაზედ პატივცემული კაცია. სტუმრობაში პირველს ადგილს უთმობენ. სადილზე უკეთესი საჭმელები და ნაჭრები მათ მიერთმევათ ხოლმე. ყველანი ხელს უწყობენ. ხშირად მათ სიტყვას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სახლის პატრონს, ოჯახის მოთავესა. შაგირდი, რაც უნდა საზოგადოებაში პატივცემული კაცი იყოს, რაც უნდა მაღალი ადგილი ეჭიროს, დიდის მოწიწებით და პატივის-ცემით ექცევა თავის მასწავლებელს... ოსმალს რომ ჰკითხო, რა არის მიზეზი ამ გვარის პატივისცემისაო, ის მაშინვე ამ გვარ პასუხს მოგცემს; «ჩემმა მშობელმა ჩემი სული ზეციდამ დედა-მიწას ჩამოიყვანაო, მასწავლებელმა-კი ეს სული ხელ-ახლა მიწიდამ ზეცას აიყვანაო: ვინ უფრო მეტის პატივის ღირსიაო?»

ჩვენ სრულიად მოგვწონს ოსმალების ამ გვარი ჩვეულება: სრული და ღრმა პატივისცემის ღირსია, ვინც ჩვენის სულის და გონების აღზრდას კისრულობს. მაგრამ ვაი იმ შაგირდსაც, რომელიც თავის მასწავლებელს არ გადააჭარბებს. არც ისე ვარგა, რომ ახალი ძველს არა ჰსჯობდეს, არა, ჩვენ ქართველებს ტყუილად კი არ უთქვამთ:

«ის ურჩევნია მამულსა
რომ შვილი სჯობდეს მამასა!»

⁂

გაზეთი «Саратовскій Дневникъ»-ი ერთს სასაცილო ამბავს იწერება რუსეთის თვით-მმართველობის მოქმედობიდამ ამოღებულს.

ერთს საერო კრებაზე ერობის მმართველნი რაღაც საჭიროებისთვის ფულსა თხოულობდნენ. კენჭის ყრა დაიწყეს. კენჭი შუაზე გაიყო. ხოლო თვალ-მახვილს თავმჯდომარეს არა გამოეპარებოდა-რა: მან შენიშნა, რომ ერთი ხმოსანი—თათარი ფეხზე წამოდგა.

— თქვენ ფეხზე წამოსდგეგით, ხოლილახობიულ? ჰკითხა თავმ-მჯდომარემ.

— წამოვდექი.

— მაშ თანახმა ხართ იმ ფულის მიცემაზე, რომელსაც მმართველობა თხოულობს?

— თანახმა რად ვიქნებ?.. თანახმა არა ვარ!..

— ფეხზე ხომ წამოსდეგით!?

— წამოვდექი,—შარვალი გავისწორე, ქამარი მოვიშვი, ფული-კი არ მომიცია!.. სურათი!

საქმეს განაგებენ, მა რა ეშმაკია!

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე წერილს ადგილი უბოძოთ თქვენს პატივ-ცემულს გაზეთს «ივერიაში».

ამას წინად «ივერიის» 44 №-ში დაბეჭდილი იყო ბატონი ვალიკო—იას რეცენზია ჩემის პიესის «ხათაბალის» შესახებ, რომელიც წარმოადგინა ქართულმა სათეატრო დასმა თებერვლის 22-ს.

ბ-ნი რეცენზენტი სხვათა შორის სწერს: «ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ავტორმა (ე. ი. მე) როგორ იკადრა ისეთი ულმობელობა, გულ-შეუტკივრობა და ცოტა არ იყოს უსამართლობაც მარგალიტას შესახებაო. გონჯი ადამიანი და ისიც დედა-კაცი, ჩვენის აზრით, სიბრალულის, თანაგრძნობის ღირსია და არა დაცინვისა და აბუჩად აგდებისაო. ბუნებამ საცოდავი მარგალიტა გონჯად დაჰბადა და ნუ თუ ამისათვის სასაცილოდ ასაგდებია, ეგ დიდი შეცდომაა და შეუწყნარებელი შეცდომაც ყოველის მხრითაო».

აგერ ოცი წელიწადია, რაც «ხათაბალას» სომხურ სცენაზედ თამაშობენ და ათი წელიწადია, რაც ქართულს სცენაზედ. ბევრი რეცენზიები დაწერილა ამ პიესაზედ, ბევრი რამ თქმულა და რა მხრით გინდათ არ გაუსინჯავთ, მაგრამ ის, რაც ბ-მა ვალიკო—იამ სთქვა მარგალიტას შესახებ, არც ერთს რეცენზენტს არ დაუწერია და არც ერთს მაყურებელს არ უთქვამს. არ უთქვამთ და არ დაუწერიათ იმიტომ, რომ მე ფიქრადაც არ მომსვლია მარგალიტას შესახებ ულმობელობა, გულ-შეუტკივრობა და მისი აბუჩად აგდება. პირ-იქით ხსენებულის პიესის დაწერის დროს ჩემი უმთავრესი სურვილი ის იყო, რომ აღმეძრა მაყურებლების სიბრალული მარგალიტას მიმართ, რისათვისაც მე იგი გამოვიყვანე გულ-კეთილ და პატიოსანის ხასიათის ქალად. ყოველივე ეს აშკარადა სჩანს მარგალიტას სიტყვებიდამ.

დასამტკიცებელს საბუთებს ბევრს მოვიყვანდი თვითონ პიესიდამ, მაგრამ რადგანაც ბევრს ადგილს დაიჭერდა გაზეთში, ამისათვის ეს განზრახვა უარი ვყავით უფრო იმ იმედით, რომ მკითხველს საზოგადოებას ამ პიესის შინაარსი კარგად ეხსომება, რადგან არა ერთხელ და ორჯელ უთამაშნიათ ქართულს სცენაზედ.

მარგალიტას მე კი არ ვიგდებ აბუჩად და არ ვეპყრობი ულმობელად და გულ-შეუტკივრად, არამედ პიესის ის მოქმედნი პირნი, რომელნიც მას გარშემო ახვევიან, სტანჯავენ და ისე უყურებენ, როგორც გასასაცილებელს საქონელს. თუ გნებავთ სწორედ ეს გარემოება არის იმის მიზეზი, რომ გონჯის თვალით მაყურებელი საზოგადოება სიბრალულით უყურებს ხოლმე საწყალს მარგალიტას და არა ერთს მაყურებელს მორევია თვალში ცრემლები ამ ქალის ბედზედ, როდესაც კი პიესა რიგიანად წარმოუდგენიათ.

გ. სუნდუკიანც.

ტფილისი. თებერვლის 28-ს 1886 წ.

დეპეშა

28 ფებერვალს

პეტერბურგი. პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე «პეტერბურგელის გაზეთის» რედაქტორის მონტევერდესი და ამ გაზეთის თანამშრომელის რაგოვისა. ამათ დაბრალდათ, რომ თავიანთ გაზეთში უპატიურად და შეურაცხ-ჰყოფით მოიხსენიეს მომრიგებელ კრების თავს-მჯდომარედ ნამყოფი და დღეს ქალაქ პეტერბურგის თავი ლიხაჩოვი. პალატამ გადუწყვიტა: მონტევერდეს არესტი ერთის თვის ვადით და 300 მან. ჯარიმა, ხოლო რაგოვს ციხე-ოთხის თვის ვადით.

ბერლინი. რეიხსტაგის კომისიამ, რომელსაც სჯა ჰქონდა არყის მონოპოლიის კანონ-პროექტზედ, დიდის უმეტესობით უარ-ჰყო უმთავრესნი მუხლნი კანონ-პროექტისა.

1 მარტს

პეტერბურგი. ტირაჟში, რომელიც მოხდა დღეს, დიდნი მოგებანი შეხვდათ შემდეგს ბილეთებს მეორე მოგებიან სესხისას.

№ სერიისა	№ ბილეთებისა	მოგებული ფული
13,530	31	200,000
17,218	4	75,000
11,042	41	40,000
17,168	45	25,000
4,598	11	10,000
18,048	48	
4,625	32	
7,871	22	8,000
4,613	34	
920	34	
2,999	45	
2,423	37	
19,120	11	5,000
14,876	19	
5,605	27	
4,633	11	
13,335	10	
15,228	14	
9,358	29	
17,915	45	
2,260	45	
1,308	9	
2,985	12	1,000
1,812	12	
13,422	1	
2,957	15	
3,995	44	
8,846	27	
586	35	
779	39	
7,157	28	
511	12	
13,418	46	
7,324	43	
1,411	43	
15,388	13	
16,566	1	
16,086	14	
19,173	19	
8,394	2	

დღეს პეტრე-პავლეს სობოროში დიდის დიდებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

1 დღე შაბათი. ღირსისა ქალწმოწ. ევდოკიისი. სომ წმ. თევდორე მხედართმთავარისა. კათოლ. ეპისკოპ. ალბანიისა, ანტონისა და ადრინისა.

პირველი ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუა დღე 13—9—36. ტფილისში მზე ამოდის 6—15; ჩადის 6—5. მთვარე ამოდის 11—5; ჩადის 12—17 ნღ.

წამებითი გარდაცვალება ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა (1881 წ.)

2 დღე კვირა. წმ. მოწამე თეოდოტესი. ტახტზედ ასვლა მ. იმ. დიდ. იმპერატორის ალექსანდრეს-ძისა კათ. ელენესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—19. ტფილისში მზე ამოდის 6—14; ჩადის 6—6. მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 1—16 ნღ.

3 დღე ორშაბათი. წმ. მოწამე ევტროპ, ზენონ, ზოილისა. კათ. კუნეგუნდი იმპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—2 ტფილისში მზე ამოდის 6—12; ჩადის 6—7. მთვარე ამოდის 1—1; ჩადის 2—14 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 სად.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 სად.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის
ქართულის წიგნის მაღაზიაში
იყიდება
ქილილა და დამანა
თარგმანი მეფე ვახტანგისაგან
ფასი სამი მანათი.
3—3

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა სახელმძღვანელო რუსულის ენისა Начальный Курсъ русскаго языка для грузинъ), შედგენილი გერ. კალანდარიშვილისა, მერვე გამოცემით, რომელიც სრულიად გადაკეთებულია იაკობ გოგებაშვილის მიერ. ეს ახალი გამოცემა იპყრობს; ლექსიურს განყოფილებას, პირველად შეტანილს წიგნში, ხელ-ახლად შედგენილს რუსულს ანბანს ბეჭდურს და ხელ-ნაწერსა;— განყოფილება სიტყვათა და ფრაზათა შემოკლებულია და მოშორებული გრამმატიკულს განმარტებათა, ქრისტომატიაც გარდაკეთებულია და შეიცავს ახალს: მოთხრობებსა, ლექსებსა, აღწერათა (სურათებიანსა) და თავდება რავდენიმე სურათებიანი მოთხრობით საღმრთო ისტორიიდგან. უწინდებურად გამოცემას ბოლოში აქვს ჩამატებული რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც იპყრობს სამი ათასამდის სიტყვასა. ფასიც დაკლებულია და წიგნი ღირს ცხრა შაურად. ვინც ერთბამად იყიდის ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ოცის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად; ვინც წაიღებს არა ნაკლებ ორმოცდა ათის ცალისა, წიგნი მიეცემა 36 კაპეიკად. გამოცემა აწევია გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან (Кавказская книжная торговля).

8—8

Дозволено цензурою Тифлисъ 1 Морта, 1886 года   ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლში.   რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.